

JSC Microbank Crystal / სს „მიკრობანკ კრისტალი“-ს
აქციონერთა საერთო კრების მიერ 2025 წლის 29 დეკემბერს
დამტკიცებული ცვლილებები.

**JOINT STOCK COMPANY
MICROBANK CRYSTAL /**
სააქციო საზოგადოება
„მიკრობანკი კრისტალი“

წესდება
(ახალი რედაქცია)

ქუთაისი, საქართველო
2025

Kassman Robert Scott

სს მიკრობანკი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სააქციო საზოგადოება „მიკრობანკი კრისტალი“ („საზოგადოება“) არის 2007 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად მიკროსაფინანსო „ფონდი კრისტალის“ მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება.
- 1.2. საზოგადოება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებული იურიდიული პირი, რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად და რომლის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია წინამდებარე წესდებით, , საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონით მიკრობანკების საქმიანობების შესახებ („მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონი“), საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით და საქართველოს ყველა სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.
- 1.3. წინამდებარე წესდება არის აქციონერთა შორის გაფორმებული სადამფუძნებლო დოკუმენტის ნაწილი, რომელიც გამოხატავს მათ ორმხრივ ნებას და შესასრულებლად სავალდებულოა მათთვის. წინამდებარე წესდების დებულებები სავალდებულოა არამხოლოდ საზოგადოების დამფუძნებლებისთვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდება, არამედ მათთვისაც, ვინც მომავალში გახდება კომპანიის აქციონერი, მიუხედავად იმისა, რომ ხელი არ მოაწერეს წესდებას.
- 1.4. საზოგადოება ფლობს ცალკე ქონებას და მისი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მისი აქტივებით.
- 1.5. საზოგადოებას შეუძლია, საკუთარი სახელით, იმოქმედოს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში ან არბიტრაჟში და ფლობდეს ბეჭედს, რომელზეც წარმოდგენილია საზოგადოების ემბლემა (ლოგო).
- 1.6. საზოგადოებას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი და შეუძლია გახსნას ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები (მათ შორის ანგარიშები უცხოურ ვალუტაში) საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.
- 1.7. საზოგადოების შექმნის მიზნებია:
 - 1.7.1. სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა, საზოგადოების სოციალურად დაუცველი / მოწყვლადი ნაწილის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება, მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ხელშეწყობა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის გზით.
 - 1.7.2. ეკონომიკურ საქმიანობაში საზოგადოების სოციალურად დაუცველი / მოწყვლადი ნაწილის და მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური მომსახურებების გაწევის გზით.
 - 1.7.3. მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის და მოქნილი ფინანსური მომსახურებების შეთავაზება;
 - 1.7.4. მოგების მიღება მრავალჯერადი და დამოუკიდებელი მეწარმეობიდან.

Kussmann Robert Scott

სადასტოვო

- 1.8. საზოგადოების საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.
- 1.9. საზოგადოების ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და შედგება თორმეტი თვისგან, აითვლება 1 იანვრიდან და სრულდება 31 დეკემბერს.

მუხლი 2. საქმიანობის საგანი

- 2.1. საზოგადოების საქმიანობების საგანია მიკრო საბანკო საქმიანობები.
- 2.2. მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონის შესაბამისად მიკრობანკი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საბანკო საქმიანობები:
 - 2.2.1. სესხების, გარანტიების, აკრედიტივებისა და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;
 - 2.2.2. პროცენტის და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში და ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაცვით, სხვა დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა პირებისგან, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან), მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში;
 - 2.2.3. საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
 - 2.2.4. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება და საკასო-საინკასაციო მომსახურების გაწევა;
 - 2.2.5. საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება;
 - 2.2.6. საგადახდო მომსახურების გაწევა, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
 - 2.2.7. უპროცენტო საბანკო მომსახურების გაწევა;
 - 2.2.8. დერივატივების კონტრაქტის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას საჭიროებს;
 - 2.2.9. საკუთარი და თავის კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
 - 2.2.10. ფასეულობათა შენახვა;
 - 2.2.11. ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონის გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;
 - 2.2.12. ამ მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევა;
 - 2.2.13. სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის და ფიატური ვალუტების (ეროვნული ან უცხოური) ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ვირტუალური აქტივის ერთ ან მეტ ფორმას შორის, კონვერტირებად ვირტუალურ აქტივსა და ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის; კონვერტირებადი

Kosman Robert Scott

სსს იპოვს

ვირტუალური აქტივის გადაცემა, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალური აქტივის კონტროლის საშუალებას იძლევა, და აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამატებითი მომსახურებების გაწევა.

2.2.14. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომლის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია მიკრობანკს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. კაპიტალი და აქციები

- 3.1. საზოგადოების საწესდებო (განცხადებული) კაპიტალი შეადგენს 3,634,576 (სამი მილიონ ექვსას ოცდაათოთხმეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარს. განთავსებული კაპიტალის და განაღდებული კაპიტალის ოდენობა, რომელიც დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, მითითებულია სადამფუძნებლო დოკუმენტში.
- 3.2. აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული. 1 (ერთი) ჩვეულებრივი აქცია საერთო კრებაზე 1 ხმის უფლებას უზრუნველყოფს. პრივილეგირებული აქციები ხმის უფლებას არ უზრუნველყოფს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრივილეგირებულ აქციათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების რაოდენობის ნახევარს.
- 3.3. საზოგადოების აქციათა რეესტრი შეიძლება აწარმოოს საზოგადოებამ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.4. ნებისმიერი ცვლილება საზოგადოების კაპიტალში (კაპიტალის ზრდა ან შემცირება) შეიძლება განხორციელდეს აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
- 3.5. კაპიტალის გაზრდის მიზნებისთვის, კომპანიას შეუძლია გამოუშვას ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული აქციები ან ჩვეულებრივ ან/და პრივილეგირებულ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.
- 3.6. ახალად გამოშვებული ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციების განთავსების ფასი არ უნდა იყოს მის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები.
- 3.7. საზოგადოების კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, აქციონერებს ექნებათ განთავსების უპირატესი უფლება საზოგადოების აქციათა საერთო რაოდენობაში მათი შესაბამისი აქციების წილის პროპორციულად. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება საერთო კრებაზე, ხმების არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერების მონაწილეობით კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების მინიმუმ 3/4-ით. გაუქმების საკითხზე საერთო კრების ხმის მიცემის უფლების შეზღუდვის გარეშე, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საფუძველები და დასაბუთებულია ახალი აქციების გამოშვების ღირებულება. საერთო კრება ასევე იღებს გადაწყვეტილებას გაზრდილი კაპიტალის განაღდების პირობების შესახებ 3.9 მუხლში გათვალისწინებულ პირობებთან დაკავშირებით, საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. აქციათა

Kosman Robert Scott

2020-05-26

- უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3.8. თუ დირექტორთა საბჭო გადაწყვეტს გაზარდოს თავისი კაპიტალი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 166 მუხლით გათვალისწინებული საწესდებო / ნებადართული კაპიტალის ფარგლებში, დირექტორთა საბჭომ საერთო კრებისგან უნდა მოიპოვოს შესაბამისი წინასწარი ნებართვა.
- 3.9. სააქციო საზოგადოებამ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელ აქციონერებს დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს, ხოლო დანარჩენ აქციონერებს - დაზღვეული წერილით ან შესაბამისი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. თუ სხვაგვარად არ გადაწყვეტენ აქციონერები, სააქციო საზოგადოებამ აქციონერებს ამ უფლების გამოყენებისთვის უნდა მისცეს სულ მცირე 20 (ოცი) დღის ვადა, რომელიც აითვლება შეტყობინების შესაბამისი პირისთვის ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას არ ესწრება ან წარმოდგენილი არ არის ყველა აქციონერი, აქციონერების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე აცნობებს გადაწყვეტილების შესახებ იმ აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ ან არ იყვნენ წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღებისას. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები არ გამოიყენებენ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებას აქციონერების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ოცი (20) დღის განმავლობაში, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმებულად ჩაითვლება. ნებისმიერი აქციონერი, რომელსაც სურს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, ვალდებულია საზოგადოებისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული უპირატესი უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან ოცდაათი (30) დღის ან სხვა შესაბამისი უფრო დიდი ვადის განმავლობაში განახორციელოს შესაბამისი შენატანი.
- 3.10. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოების საკუთარი აქციების შექმნის უფლებების დარღვევის გარეშე საზოგადოებას უფლება აქვს გამოისყიდოს საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში შემდეგ შემთხვევებში:
- 3.10.1. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი მხარს არ უჭერს საზოგადოების გადაწყვეტილებას, რაც არსებითად არღვევს ასეთი აქციონერის უფლებებს; ან
- 3.10.2. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი მხარს არ უჭერს გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება საზოგადოების რეორგანიზაციას.
- 3.11. აქციონერები შესაძლოა შეთანხმდნენ მაჟორიტარული და მინორიტარული აქციონერის აქციების ერთობლივად გაყიდვის უფლებებზე.
- 3.12. საზოგადოების აქციებს, რომლებიც გამოშვებულია თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის ფარგლებში, ექნებათ შეზღუდვა, რომ ასეთი აქციების მფლობელებს მათი შესაბამისი უფლებების გამოყენება შეეძლებათ წილის მართვის ხელშეკრულების ფარგლებში დანიშნული შესაბამისი წილის მმართველის მეშვეობით.

Kussman Robert Scott

სსსსსსსსსს

მუხლი 4. აქციონერები

- 4.1. საზოგადოების აქციონერები არიან პირები, რომლებიც სათანადოდ ფლობენ საზოგადოების აქციებს და რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში. საზოგადოების აქციონერები შესაძლოა იყვნენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები, ასევე საქართველოს ან/და ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეები.
- 4.2. აქციონერის უფლება აქციაზე საკუთრების შესახებ დასტურდება აქციათა რეესტრის ჩანაწერით ან აქციათა რეესტრში ნომინალური მფლობელის შენატანით. აქციონერს უნდა გადაეცეს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან ან ამონაწერი ნომინალური მფლობელისგან.
- 4.3. აქციონერებს ექნებათ შემდეგი უფლებები:
 - 4.3.1. გაასხვისონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და აქციონერთა გადაწყვეტილებით გათვალისწინებული წესით. თუ სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული აქციონერთა გადაწყვეტილებით, აქციონერის მიერ საკუთარ აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში, სხვა აქციონერებს ექნებათ ასეთი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება საზოგადოების აქციების საერთო რაოდენობაში მათი შესაბამისი წილის პროპორციულად. აქციონერმა სხვა აქციონერებს უნდა გაუზიაროს შეტყობინება თავის აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. აქციონერებმა, რომლებსაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეისყიდონ შეტყობინების მიღების თარიღიდან ოცი (20) დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები არ შეისყიდიან აქციებს აღნიშნულ პერიოდში ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმებულად ჩაითვლება.
 - 4.3.2. პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და ჩვეულებრივი აქციების შემთხვევაში - მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში (ნებისმიერ შემთხვევაში ფიზიკური დასწრებით ან პირდაპირი ელექტრონული საშუალებებით) და გამოიყენონ ხმის მიცემის უფლებები წინამდებარე წესდების.
 - 4.3.3. მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად. ყველა კლასის აქციონერი მონაწილეობას იღებს მოგების განაწილებაში და იღებენ დივიდენდებს შესაბამისი კლასის მათი კუთვნილი რაოდენობების პროპორციულად, აქციონერთა მიერ შეთანხმებული ფორმით;
 - 4.3.4. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიიღონ წილი ან კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი საზოგადოების ქონების ეკვივალენტური ღირებულება, მათი აქციების პროპორციულად იმ პირობით, რომ ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, რომელიც დარჩა ვალების დაფარვის შემდეგ, უპირველესად განაწილდება პრივილეგირებულ აქციების მფლობელებზე
 - 4.3.5. ყველა აქციის 5% ან მეტის ნებისმიერ მფლობელს უფლება ექნება შეხვდეს საზოგადოების აუდიტორებს და მათთან განიხილოს ბიზნეს საქმიანობასთან და აუდიტთან დაკავშირებული საკითხები;

Kassmann Robert Scott

სადაგეგმავი

- 4.3.6. აქციების 5%-ის ან მეტის მფლობელებს შეუძლიათ მოითხოვონ ბიზნეს დტანაქციების სპეციალური შემოწმება, თუ ისინი თვლიან, რომ ადგილი აქვს დარღვევებს; კანონმდებლობის შესაბამისად, აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე საზოგადოებამ უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება.
- 4.3.7. ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვოს აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა. თუ ასეთი მოთხოვნა აქციონერთა საერთო კრების თარიღამდე მინიმუმ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, უნდა დაკმაყოფილდეს ან ჩაითვალოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.
- 4.3.8. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს და: (ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება იმ პირობით, რომ თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი; (ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოთხოვნა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 4.3.9. ხმის უფლების მქონე აქციათა სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ საზოგადოების სახელით გაფორმებული გარიგების დოკუმენტის ასლები ან/და ინფორმაცია გარიგებების დადების შესახებ.
- 4.3.10. ხმის უფლების მქონე აქციათა მფლობელებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ხმები საკუთარი ინტერესებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას, რომელ შემთხვევებშიც ასეთმა აქციონერ(ებ)მა თავი უნდა შეიკავონ ხმის მიცემისგან.
- 4.3.11. ხმის უფლების მქონე აქციათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს ექნებათ უფლება საერთო კრებას წარუდგინონ წინადადებები მოგების განაწილების შესახებ.
- 4.4. საზოგადოების აქციონერები ვალდებული არიან დაიცვან და შეასრულონ წინამდებარე წესდებით, აქციონერთა შეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები და სხვა პირობები.

მუხლი 5. მოგების განაწილება

- 5.1. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული აქციონერთა გადაწყვეტილებით ან მოქმედი კანონმდებლობით, წლიური აუდიტის დასრულებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში

Kessman Robert Scott

2020-05-27

(თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში აქციონერთა წლიური საერთო კრების თარიღამდე ერთი (1) თვით ადრე), საზოგადოების დირექტორთა საბჭომ უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების შესახებ აქციონერთა გადაწყვეტილების, წინამდებარე წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების განაწილების შესახებ წინადადების შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო აქციონერებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივ წინადადებას, თუმცა თუ ამ საკითხის შეთანხმება ვერ მოხერხდება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო დამოუკიდებლად წარადგენენ საკუთარ წინადადებებს და საერთო კრებას მისცემენ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ალტერნატიული წინადადებების შესახებ. მოგების განაწილების საკითხი და წესები უნდა გადაწყდეს / დამტკიცდეს აქციონერების მიერ.

- 5.2. აქციონერებს არ შეუძლიათ მიიღონ რაიმე ანაზღაურება გარდა საზოგადოების დივიდენდებისა; თუმცა აქციონერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ნებისმიერ ბიზნეს, მომსახურების ან შრომით ურთიერთობაში და შედეგად მიიღოს ანაზღაურება, რომელიც არ ითვლება დივიდენდად, იმ პირობით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ დაიკავებს დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობას.

მუხლი 6. საზოგადოების მართვა

- 6.1. აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა.
- 6.2. საზოგადოების საქმეებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებს აირჩევენ აქციონერები.
- 6.3. საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას განახორციელებს და მართავს კოლეგიალური ორგანო - დირექტორთა საბჭო, როგორც დეტალურად მოცემულია მე-10 მუხლში.
- 6.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ შეუძლია იმავდროულად იყოს დირექტორთა საბჭოს წევრი.
- 6.5. საზოგადოების დირექტორთა საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის და ნებისმიერი დაკავშირებული ცვლილების შესახებ ელექტრონული პორტალის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე და ასევე საზოგადოების ვებ-გვერდზე, საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრება

- 7.1. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის და მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონის მოთხოვნები ეხება აქციონერთა საერთო კრების მოწვევას და ჩატარებას.
- 7.2. აქციონერს შეუძლია გამოიყენოს საერთო კრებაზე მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით.
- 7.3. საზოგადოების დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მონაწილეებს უფლება აქვთ საერთო კრებას დაესწრონ პირადად ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ფიზიკურ დასწრებასთან ერთად ან ალტერნატივის სახით.

Kessman Robert Scott

სსს კომპანია

- ელექტრონული ხმის მიცემის შემთხვევაში, სავალდებულოა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.
- 7.4. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. ამასთანავე, თუ საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, აქციონერებს თავად ან მესამე პირის მეშვეობით უნდა შესთავაზოს ელექტრონული საშუალებებით წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინების სულ მცირე ერთი ეფექტიანი ელექტრონული საშუალება. ზემოაღნიშნული პროცედურა ასევე გამოიყენება წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტაზე.
 - 7.5. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც აქციონერთა წარმომადგენლმა.
 - 7.6. აქციონერთა მორიგი საერთო კრება უნდა მოიწვიოს მმართველმა ორგანომ ან სამეთვალყურეო საბჭომ (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) ყოველ წელს ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამ (3) თვეში. საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს დირექტორთა საბჭოს ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამეთვალყურეო საბჭოს ან იმ აქციონერების წერილობითი მოთხოვნით, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების 5 პროცენტს.
 - 7.7. საერთო კრების მოწვევის შესახებ კანონით ან/და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ კრებას ესწრება ყველა აქციონერი და ყველა მათგანი თანახმაა ჩატარდეს კრება და მიიღოს გადაწყვეტილებები. თანხმობა გაცემულად ჩაითვლება, თუ აქციონერი არ მოითხოვს კრების ჩატარებას სხვა დროს, კების მოწვევის პროცედურების დარღვევის გამო.
 - 7.8. კრების მომწვევი ორგანო პასუხისმგებელია საერთო კრების სათანადოდ მოწვევასა და ჩატარებაზე.
 - 7.9. კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხმის მიცემაში მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით, რაც ჩაიწერება კრების ოქმში. კრების ოქმში უნდა მიეთითოს მოწვეულია თუ არა საერთო კრება აქციონერების ინიციატივით.
 - 7.10. აუცილებლობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭო ვალდებულია კაპიტალის სულ მცირე 5%-ის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.
 - 7.11. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს უფლება აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.
 - 7.12. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე, აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება

Kassman Robert Scott
სსს ბიზნესი

მათი უფლებით მიმართონ სასამართლოს განმცხადებელ აქციონერებისთვის საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მინიჭების და საერთო კრების თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე.

- 7.13. საზოგადოების დირექტორთა საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესების შესაბამისად და მიიღოს გადაწყვეტილება საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო ყველა ორგანიზაციულ საკითხზე.
- 7.14. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საჯარო რეესტრის ელექტრონული პორტალი ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).
- 7.15. საერთო კრებას ექნება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციათა მინიმუმ 50%-ის მფლობელები. თუ კრებაზე კვორუმი არ შედგება, ახალი კრება, იმავე დღის წესრიგით, მოწვეული უნდა იქნეს კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადებში და მითითებული პროცედურების შესაბამისად. მეორე კრებაზე კვორუმი შედგება თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციათა მინიმუმ 25%-ის მფლობელები. თუ კრებას ისევ არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ახალი კრება, იმავე დღის წესრიგით, მოწვეული უნდა იქნეს კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადებში და მითითებული პროცედურების შესაბამისად. ასეთ კრებაზე კვორუმი შედგება კრებაზე დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების კუთვნილი აქციების რაოდენობის მიუხედავად.
- 7.16. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს 21 (ოცდაერთი) დღით ადრე, თუ საერთო კრების მოიწვევა ხდება პირველი საერთო კრების მოწვევისთვის საჭირო ქვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის დაცულ უნდა იქნას სულ მცირე 10-დღიანი შუალედი.
- 7.17. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორესა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს.
- 7.18. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
- 7.18.1. სააქციო საზოგადოების სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
 - 7.18.2. საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო;
 - 7.18.3. მითითება მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;
 - 7.18.4. საერთო კრების სააღრიცხვო დღე, ასევე მითითება, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
 - 7.18.5. საერთო კრების დღის წესრიგი;
 - 7.18.6. კანონით მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).

Kessmann Robert Seiff

სსს კომპანია

- 7.19. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე მასალები უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას.
- 7.20. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს წესდების ახალი რედაქციის მიღებას, წესდების ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია პირადად ეგზავნება ყველა აქციონერს..
- 7.21. საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტი გამოაქვეყნოს ელექტრონული პორტალის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე და მიუთითოს ასეთი გადაწყვეტილებების საფუძველი.
- 7.22. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს, რომელიც არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. წესდების 7.10. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 (ექვსი) დღე.
- 7.23. საერთო კრებას აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუ კრებას ესწრება აქციონერები ხმათა უმრავლესობით.
- 7.24. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო კვორუმი არ შედგება, კრების მომწვევს შეუძლია ხელახლა მოიწვიოს კრება იმავე წესით და დღის წესრიგით. მეორე კრებას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, 7.15. მუხლში გათვალისწინებული წესით. მეორე საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს იმავე წესით, როგორც გათვალისწინებულია წინამდებარე წესდების 7.14 მუხლით.
- 7.25. საერთო კრებას უხელმძღვანელებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
- 7.26. საერთო კრების განმავლობაში ხმის მიცემის ფორმას განსაზღვრავს საერთო კრება მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით.
- 7.27. საერთო კრების დასრულებიდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში, საერთო კრების თავმჯდომარემ და მდივანმა უნდა შეადგინონ და ხელი მოაწერონ საერთო კრების ოქმს. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს თავმჯდომარე და ნოტარიუსი. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე და ნოტარიუსი.
- 7.28. საერთო კრების ოქმს თან უნდა დაერთოს ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საერთო კრების მოწვევას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 8. საერთო კრების უფლებამოსილება

- 8.1. აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

Kossmann Robert Scott

სსს ბიზნესი

- 8.1.1. ცვლილებების შესახებ საზოგადოების წესდებაში / სადამფუძნებლო დოკუმენტში, მათ შორის გადაწყვეტილებებში, ცვლილებების შესახებ წესდებაში საზოგადოების კაპიტალის ზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით, ცვლილებების შესახებ საქმიანობებში ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობაში ან დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობაში ან აქციონერთა უფლებებში;
- 8.1.2. კაპიტალის ზრდის შემთხვევაში აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ;
- 8.1.3. წინადადების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ მოგების გამოყენების (მათ შორის მოგების განაწილების) თაობაზე ან თუ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების გამოყენებაზე, გამოიყენება წინამდებარე წესდების 5.1. მუხლში მითითებული წესი;
- 8.1.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის და გათავისუფლების შესახებ, მათი ანაზღაურების და დამატებითი სარგებელის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და მათთან ხელშეკრულებების გაფორმების და შეწყვეტის თაობაზე;
- 8.1.5. დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცების შესახებ;
- 8.1.6. კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
- 8.1.7. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევის შესახებ;
- 8.1.8. გადაწყვეტილებების მიღება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;
- 8.1.9. გადაწყვეტილებების მიღება სააქციო საზოგადოების მიერ იმ ქონების შეძენის, გადაცემის, გაცვლის ან სხვაგვარად გასხვისების ან დატვირთვის შესახებ ან ასეთი ვალდებულებების აღების ან უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ღირებულება, ერთი ან ურთიერთდაკავშირებული გარიგებების სერიების შემთხვევაში, შეადგენს ან აღემატება საზოგადოების ყველა აქტივის ღირებულების 25%-ს;
- 8.1.10. კომპანიის შერწყმა ან გაერთიანება, ან კომპანიის კორპორაციული რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; და
- 8.1.11. გადაწყვეტილებების მიღება სხვა საკითხებზე წინამდებარე წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 8.2. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო.
- 8.3. საერთო კრებას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება საკითხებზე, რომლებიც შედის სხვა ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ორგანოები მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით მიმართავენ საერთო კრებას.
- 8.4. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ხმის მიცემაში მონაწილე პირთა ხმათა უმრავლესობით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ან წინამდებარე წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად ხმათ უფრო დიდი რაოდენობა არის საჭირო.

Kessmann Robert Scott

2020.05.26

- 8.5. ნებისმიერი გადაწყვეტილება 8.1. მუხლში მითითებულ საკითხებზე მოითხოვს დამსწრე ან წარმოდგენილი, ხმის მიცემის უფლებების 50%-ზე მეტი მფლობელი აქციონერების ხმებს, 8.1.4 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების გარდა, რომელიც მოითხოვს დამსწრე ან წარმოდგენილი, ხმის მიცემის უფლებების 2/3-ზე მეტი მფლობელი აქციონერების ხმებს, და 8.1.1; 8.1.2; 8.1.3; და 8.1.10 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების გარდა, რომელიც მოითხოვს დამსწრე ან წარმოდგენილი, ხმის მიცემის უფლებების 3/4-ზე მეტი მფლობელი აქციონერების ხმებს. 8.1 მუხლში მითითებულ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე, აქციონერებს შეუძლიათ შეთანხმდნენ წინასწარ კონსულტაციებზე კონკრეტულ აქციონერთან.

მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო

- 9.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი (3) და მაქსიმუმ ოცდაერთი (21) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება წინამდებარე წესდების, და მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.2. პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით და მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონით ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განსაზღვრულ მოთხოვნებს, არ შეიძლება დაინიშნოს წევრად და უნდა გათავისუფლდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისგან აქციონერთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 9.3. კონკრეტულ აქციონერ(ებ)ს, უფლება აქვს ჰყავდეს მინიმუმ ერთი (1) წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში.
- 9.4. კონკრეტულ აქციონერ(ებ)ს, უფლება აქვს დანიშნოს დამოუკიდებელი წევრი ან/და შეცვალოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
- 9.5. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა არაუმეტეს ოთხი (4) წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა ავტომატურად გაგრძელდება საერთო კრების მოწვევამდე და ახალი წევრების არჩევამდე ასეთ კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება აირჩნენ ახალი ვადით.
- 9.6. იმ შემთხვევაში, თუ ახალი წევრი არ აირჩევა ექვსი (6) თვის განმავლობაში და აქციონერები არ შეამცირებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობას სადამფუძნებლო დოკუმენტის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლის შემდეგ, დირექტორთა საბჭოს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ახალი წევრის დანიშვნისთვის. ეს წესი ასევე გამოიყენება, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წინამდებარე წესდებაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლებია.
- 9.7. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ირჩევს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო თავის წევრთაგან, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თუ კანდიდატები თანაბარი რაოდენობის ხმებს მიიღებენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნება მათ შორის უხუცესი კანდიდატი,

Kusmanur Dzel Satt

სსს ბიზნესი

- სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი დაინიშნება თავმჯდომარის მოადგილედ.
- 9.8. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის საერთო ეფექტურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის წევრებს შორის სანდო და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის ურთიერთობაზე და მათ ეფექტურ კოორდინაციაზე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარეს არ შეუძლია მოვალეობების შესრულება, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შეასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს.
- 9.9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ოთხჯერ ან მეტჯერ. კრებაზე დასწრება შესაძლებელია პირადად, ტელეფონით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.
- 9.10. სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია სხდომის ჩატარება უზრუნველყოს მოთხოვნიდან ათი (10) დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრს თავად შეუძლია მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.
- 9.11. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.
- 9.12. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სულ მცირე ნახევარი.
- 9.13. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ აკმაყოფილებს ქვორუმის მოთხოვნას, კრების თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს ახალი კრება არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, რომელიც ჩაითვლება, რომ დააკმაყოფილებს კვორუმის მოთხოვნებს, თუ სხდომას ესწრება წევრთა მინიმუმ 25%.
- 9.14. თუ სხვაგვარად არ ითვალისწინებს კანონი, აქციონერების მიერ შეთანხმებული ან ამ წესდებით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმის მიცემაში მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით და თითოეულ ვერს აქვს ერთი (1) ხმა.
- 9.15. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები იწერება ოქმებში. კრების ოქმს ადგენს თავმჯდომარე. კრების თავმჯდომარე პასუხისმგებელია კრების ოქმების ავთენტურობაზე და მასში მითითებული ფაქტების სიზუსტეზე.
- 9.16. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში და მიზნებში შედის შემდეგი საკითხები:
- 9.16.1. გენერალური დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრების, კორპორაციული მდივნის და საზოგადოების შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის

Kessman R. J. Scott

24 8-1-25

- დანიშვნა და გათავისუფლება, ასევე მათთან ხელშეკრულებების გაფორმება და შეწყვეტა.
- 9.16.2. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ამგვარად მოითხოვს სააქციო საზოგადოების ინტერესები მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- 9.16.3. სააქციო საზოგადოების საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა დირექტორთა საბჭოს და დირექტორების მიერ.
- 9.16.4. წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადებების შემოწმება და ასეთი ანგარიშების, წინადადებების დასამტკიცებლად წარდგენა აქციონერებისთვის;
- 9.16.5. საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის და საკუთრებაში არსებული ობიექტების, კერძოდ სააქციო საზოგადოების სალარო აპარატის, ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ან საბჭოს მითითებით - საბჭოს ინდივიდუალური წევრების ან მოწვეული ექსპერტების მიერ;
- 9.16.6. საზოგადოების ღირებულებების, ხედვის, მისიის და ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა და უზრუნველყოფა, რომ საზოგადოების მართვა განხორციელდეს სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმის და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
- 9.16.7. საზოგადოების ეთიკის სტანდარტებისა და ქცევის კოდექსის განსაზღვრა და დირექტორთა საბჭოს როლის უწყვეტი შეფასება ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაში, რომელიც არ შემოიფარგლება ამით და მოიცავს მოქმედ კანონმდებლობას, ეთიკურ პრინციპებს და პროფესიული ქცევის სტანდარტებს, ასევე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის და სააქციო საზოგადოების კორპორაციული პოლიტიკის განუხრელი დაცვა;
- 9.16.8. საზოგადოების პოლიტიკის - პროცედურების ეფექტურობის და მიუკერძოებლობის უწყვეტი კონტროლი სააქციო საზოგადოების ანონიმური ანგარიშების სისტემის თვალსაზრისით (მხილება); იმის უზრუნველყოფა, რომ დირექტორთა საბჭო სრულად მოახსენებს სამეთვალყურეო საბჭოს საზოგადოების თანამშრომლებს მიერ წარმოდგენილ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც სრულად არიან დაცული პოტენციური ზიანისგან და დისკრიმინაციისგან;
- 9.16.9. საზოგადოების სტრატეგიის (მათ შორის კორპორაციული სტრატეგიის) შემუშავება დირექტორთა საბჭოსთან ერთად და დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულების მონიტორინგი;
- 9.16.10. საზოგადოების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობასთან, მათ შორის საზედამხედველო მოთხოვნებთან;
- 9.16.11. საზოგადოების რისკის აპეტიტის განსაზღვრა, რისკების დირექტორთან და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებთან თანამშრომლობით;
- 9.16.12. ორგანიზაციული სტრუქტურის, მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭომ და

Kessner Robert Scott

სსიპ

- დირექტორთა საბჭომ დროულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და უზრუნველყონ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
- 9.16.13. დირექტორთა საბჭოს საქმიანობების მონიტორინგი, დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება და შესაბამისი ზომების მიღება ასეთი შეფასების შედეგების საფუძველზე. შეფასებაში დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაგეგმოს რეგულაციური ზომები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს დირექტორთა საბჭოს წევრების კვალიფიკაციების გასაუმჯობესებლად საჭირო ტრენინგებსა და საგანმანათლებლო სემინარებზე მონაწილეობის განსაზღვრას. ამ პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო და გადამზადების პროგრამების განსახორციელებლად სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. სამეთვალყურეო საბჭომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დირექტორთა საბჭოსგან მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის განმარტებები და რწმუნებები / გარანტიები, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობები სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიას და რისკის აპეტიტს და რომ საზოგადოების შიდა კონტროლის მექანიზმები ეფექტურად მუშაობს;
- 9.16.14. საზოგადოების ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების და დაკავშირებული კონტროლის პროცესების მონიტორინგი, რომელიც კონკრეტულად გულისხმობს იმ პირთა ანაზღაურების გადახედვას და მონიტორინგს, რომლებსაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ, საზოგადოების რისკის მართვის კულტურის და რისკის აპეტიტის დაცვას;
- 9.16.15. კონტროლის ფუნქციების ეფექტურობის და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას საქმიანობების განხორციელებისას, ნებისმიერი სხვა მხარის გავლენის / პოტენციური გავლენის გარეშე;
- 9.16.16. ეფექტური მართვის პროცესების განხორციელების და შენარჩუნების უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შორის მოიცავს შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, როდესაც მნიშვნელოვანი რისკის მიმდებები ტოვებენ საზოგადოებას. ეფექტური მართვის პროცესის განხორციელება ასევე მოიცავს საზოგადოების თანამშრომლების მიმდინარე შეფასებას და განვითარებას, ასევე პოტენციური კანდიდატების ძიებას;
- 9.16.17. დაკავშირებულ პირებთან ტრანზაქციების მონიტორინგი (განიმარტება მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონში განსაზღვრული მნიშვნელობით) და ამ მიზნით, საზოგადოების შესაბამისი პოლიტიკის და პროცედურების არსებობის უზრუნველყოფა;
- 9.16.18. საზოგადოების მხრიდან დაკავშირებული პირებისთვის საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესების სესხების გეგმების

Kissman R. Sub. S. H. L.

ს. ს. ს. ს.

- დამტკიცება (განიმარტება მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონში განსაზღვრული მნიშვნელობით);
- 9.16.19. ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება და შესაბამისი ზომების მიღება დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- 9.16.20. იმ სტრუქტურული ერთეულის დამოუკიდებლობის, უფლებამოსილების და შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობის ფუნქციებს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოში;
- 9.16.21. რისკის მართვის კულტურაში ეფექტური პრაქტიკის დანერგვის, ასევე ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული განხილვის და თანამშრომლის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- 9.16.22. დირექტორთა საბჭოს, კორპორაციული მდივნის, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და სხვა კონტროლის განყოფილებების ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცება;
- 9.16.23. დირექტორთა საბჭოს, კორპორაციული მდივნის, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ანაზღაურების და დამატებითი სარგებლის ოდენობის და პირობების განსაზღვრა, მოგებაში მათი მონაწილეობის და მსგავსი ურთიერთობების განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების შემუშავება, ასევე ოფციონებით თანამშრომელთა სტიმულირების პროგრამების შემუშავება და მათი დასამტკიცებლად წარდგენა აქციონერებისთვის.
- 9.16.24. საზოგადოების სტრატეგიაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების სათანადოდ გათვალისწინება და მათი ეფექტური განხორციელების მონიტორინგი.
- 9.16.25. გადაწყვეტილების მიღება წინამდებარე წესდებით, და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 9.16.26. მსესხებლების / დეპოზიტარების და მსესხებლების ჯგუფების კონცენტრაციის ლიმიტები განსაზღვრა;
- 9.16.27. საზოგადოების დაკავშირებულ პირებთან (განიმარტება მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონში განსაზღვრული მნიშვნელობით) ტრანზაქციების ჩარჩოს და ინტერესთა კონფლიქტის ნორმების განსაზღვრა და დამტკიცება რომელიც წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს ან გენერალური დირექტორის მიერ;
- 9.16.28. საზოგადოების წლიური ანგარიშგების ფარგლებში კორპორაციული მართვის ანგარიშის შეთანხმება / დამტკიცება;
- 9.16.29. დაკავშირებული პირებთან გარიგებების შეთანხმება, თუ დირექტორთა საბჭოს წევრი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მონაწილეობს ხსენებულ გარიგებაში.
- 9.17. დირექტორების და დირექტორთა საბჭოს ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.
- 9.18. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე არ შეიძლება შესრულდეს შემდეგი საქმიანობები:

Kusman Robert Seiff

2023.05.26

- 9.18.1. აქციების და წილების შექმნა და გასხვისება სხვა კომპანიებში;
- 9.18.2. კომპანიების დაფუძნება წილობრივი მონაწილეობით, ასეთი წილების გასხვისება და ასეთი კომპანიების ლიკვიდაცია;
- 9.18.3. ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნება და ლიკვიდაცია; სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი გადაწყვეტილებით გასცეს თანხმობა და დაადგინოს კრიტერიუმები თუ რა საფუძველით შეუძლია დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღება ფილიალების დაფუძნება/ლიკვიდაციის საკითხებზე. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება ჩაითვლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობად;
- 9.18.4. კომპანიის და მისი ფილიალების პერსონალის ჩამონათვალის დამტკიცება;
- 9.18.5. წლიური ბიუჯეტის და გრძელვადიანი ვალდებულებების დამტკიცება;
- 9.18.6. კომპანიის ბიზნეს სტრატეგიის და ბიზნეს პოლიტიკის საერთო პრინციპების შემუშავება და განსაზღვრა;
- 9.18.7. სავაჭრო წარმომადგენლობების (რწმუნებულების) დანიშვნა და გათავისუფლება;
- 9.18.8. დირექტორებისთვის ნებართვის მინიჭება დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებისთვის წარმომადგენლობითი უფლებების და ფუნქციების გადაცემისთვის.
- 9.18.9. კომპანიის აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ლისტინგი საფონდო ბირჟაზე;
- 9.18.10. ნებისმიერი ვალდებულების აღება ან უზრუნველყოფა (თუ არ არის გადაცემული აქტივების და ვალდებულებების კომიტეტისთვის) ან საზოგადოების მიერ ნებისმიერი გარიგების გაფორმება საზოგადოების ქონებასთან ან სხვა საგანთან დაკავშირებით, როდესაც ერთი გარიგების ან ურთიერთდაკავშირებული გარიგებების სერიების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს (გამონაკლისი მოიცავს კომუნალურ / საყოფაცხოვრებო ხარჯებს: იჯარის, დაცვის/უსაფრთხოების, ელექტროენერჯის, წყალმომარაგების, გაზმომარაგების, დასუფთავების მომსახურებების, ინტერნეტის, ტელეფონის ხარჯებს); და
- 9.18.11. საზოგადოების გარიგებების გაფორმება დაკავშირებულ პირებთან და ასეთი პირების ვალდებულებების უზრუნველყოფა;
- 9.18.12. სამეთვალყურეო საბჭოს და მისი კომიტეტების საქმიანობების წლიური შეფასების განხორციელება, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების მანდატის განსაზღვრა, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების შერჩევა და დამტკიცება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების დამტკიცება. გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის, სამეთვალყურეო საბჭომ შესაძლოა შექმნას დამატებითი კომიტეტები, კანონით დადგენილი სავალდებულო კომიტეტების გარდა.
- 9.19. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა თავი უნდა შეიკავონ 9.18.11. მუხლში მითითებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ხმის მიცემისგან, თუ ასეთი საკითხი მოიცავს გარიგებას პირადად ასეთ წევრთან ან ასეთი წევრის ვალდებულების უზრუნველყოფას.

Kessman Robert Scott

ს.ე. ბიზნესი

მუხლი 10. დირექტორთა საბჭო და დირექტორები

- 10.1. საზოგადოებაში მართვის უფლებამოსილებებს ახორციელებს კოლეგიალური ორგანო, დირექტორთა საბჭო.
- 10.2. საზოგადოებას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელიც მათ შორის მოიცავს გენერალურ დირექტორს (რომელიც არის საზოგადოების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი და ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს საქმიანობებს), კომერციულ დირექტორს, ოპერაციების დირექტორს, ლიზინგის დირექტორს, რისკების დირექტორს და ფინანსურ დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული საქმიანობის სფეროებით და კომპეტენციებით. დირექტორებმა, საქმიანობის სფეროს და კომპეტენციის ფარგლებში, უნდა მართონ თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები. ისინი პასუხისმგებელი იქნებიან ასეთი ერთეულების ჩვეულ საქმიანობაზე და საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე.
- 10.3. პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით და მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონით ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განსაზღვრულ მოთხოვნებს, არ შეიძლება დაინიშნოს წევრად და უნდა გათავისუფლდეს სააქციო საზოგადოების დირექტორატის წევრობისგან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 10.4. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია შემდეგზე:
- 10.4.1. დირექტორთა საბჭოს კრებების თავმჯდომარეობა, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების განხორციელების ზედამხედველობა, დავალებების ორგანიზება დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის, შესაბამისი ბრძანებების, ინსტრუქციების და სხვა დირექტივების გაცემა აღნიშნული მიზნებისთვის.
- 10.4.2. დამოუკიდებლად მოქმედება საზოგადოების სახელით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში;
- 10.4.3. საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის გარეშე, საზოგადოების დირექტორთა საბჭოს ანაზღაურების და პრემიების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა დასამტკიცებლად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 10.4.4. სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა.
- 10.5. გენერალურ დირექტორს უფლება აქვს:
- 10.5.1. დამოუკიდებლად გაააფორმოს ხელშეკრულებები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში; გენერალური დირექტორი მინდობილობას ანიჭებს დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებს, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოსთვის დამტკიცებული დელეგირების მატრიცის მიხედვით;
